# ისე, როგორც რომის ოლიმპიადაზე

იგი არასდროს არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, თუმცა მკერდს უმშვენებდა რომის ოლიმპიადის ჩემპიონის ოქროს მედალი. მის შესახებ ხშირად წერდნენ პრესაში, ვეტერანად ნათლავდნენ, აუცილებლად ახსენებდნენ რომის თამაშებს, აქ ჩადენილ სპორტულ გმირობას. უკანასკნელ ხანს მსოფლიო რეკორდსმენ ვ. ბრუმელს სხვადასხვა დიდ შეჯიბრებებში მხარს უმშვენებდნენ ახალგაზრდა კოლეგები. რობერტ შავლაყაძის სპორტული კარიერა ბევრის აზრით ჩვენი სპორტის ისტორიის საკუთრება უნდა გამხდარიყო, რომ...

როგორ გავდა 28 აგვისტოს მზიანი დღე 1960 წლის 1 სექტემბერს. თაკარა მზე, ისევ მაყურებლებით სავსე სტადიონის ტრიბუნები, ისევ ვ. ბრუმელი, რომელიც მას რომში მეტოქეობას უწევდა სახელგანთქმულ ჯ. თომასთან ერთად.

თამასა სულ მაღლა მიიწევდა. როცა ახალგაზრდა ვ. სკვორცოვი 211 სანტიმეტრზე „გაიყინა", ოქროს და ვერცხლის ბედი ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს რეკორდსმენს—რ. შავლაყაძესა და ვ. ბრუმელს თვით უნდა გაერკვიათ. 217 სმ სიმაღლე ოლიმპიურმა ჩემპიონმა პირველსავე ცდაზე „დაიპყრო". მსოფლიო რეკორდსმენის ნახტომის შემდეგ თამასა სპორტსმენთან ერთად დაეშვა ძირს. ნერვებმა უმტყუნა ვ. ბრუმელს — [illegible] ახლა იგი ჯ. თომასს „ფორო იტალიკოს" სტადიონზე გამოსვლისას...

ათასობით სპორტის მოყვარული ესალმებოდა რ. შავლაყაძეს, ჩვენი ქვეყნის ახალ ჩემპიონს, რომლის წინაშე ქედი მოიხარა რომში ჯ. თომასმა, კიევში — ვ. ბრუმელმა.

* * *

სურათზე: რ. შავლაყაძე ერთ-ერთი ნახტომის შესრულების შემდეგ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 171 (2534) ◉ კვირა, 30 აგვისტო, 1964 წ. ◉ ფასი 2 კაპ.


# ოლიმპიური ჩირაღდანი გზაშია

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ XVIII ოლიმპიური თამაშები დაიწყო! ყოველ შემთხვევაში, მისი უვერტიურა საბერძნეთში უკვე შედგა," — იუწყება იაპონიის სააგენტო კიოდო ცუსინი ათენიდან. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ლაპარაკია ოლიმპოს მთაზე ტრადიციული ოლიმპიური ჩირაღდნის ანთებაზე. ეს ცერემონიალი 21 აგვისტოს შედგა და მის შესახებ ცნობები დღემდე არ შორდება გაზეთების ფურცლებს.

ფრანგული გაზეთის „იუმანიტეს" ცნობით, ჩირაღდნის ანთებამ საბერძნეთში ენთუზიაზმით ჩაიარა. საგულდაგულოდ იქნა შერჩეული „ზევსის უმაღლესი ქურუმი ქალის" კანდიდატურა, რომელსაც გამადიდებელი შუშის მეშვეობით მზის სხივებიდან ჩირაღდანი უნდა დაენთო. არჩევანი პოპულარულ მსახიობზე ალეცა კაცელისზე შეჩერდა. 16 სპორტსმენი — ქალიშვილი შეირჩა „უმაღლესი ქურუმი ქალის" ამალისათვის.

და აი დადგა 21 აგვისტო. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყველა წევრი, რომლებიც სპეციალურად ამ ცერემონიალზე დასასწრებად ჩამოვიდნენ და აგრეთვე ბერძენი ორგანიზატორები, დილიდანვე ფეხზე იდგნენ,—წერს „იუმანიტე".—ცერემონიალი ორგანიზებულად ჩატარდა. ვეებერთელა ლინზიდან დაინთო ჩირაღდანი. XX საუკუნეში, ალეცა კაცელისის ლოცვის სიტყვები, რომელიც ზევსისაკენ იყო მიმართული, უფრო მეტად კარგ თეატრალურ მონოლოგს გავდა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ქურუმმა ქალმა და მისმა ამალამ ჩირაღდანი სტადიონზე მიიტანა და აქ ღვთაებრივი ცეცხლი საბერძნეთის მეფეს კონსტანტინეს გადასცა. სხვათაშორის, მეფე თვითონ არის კარგი სპორტსმენი. რომის ოლიმპიურ თამაშებზე მისი იახტა ფინიშთან პირველი იყო და კონსტანტინე ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ესტაფეტაში, რომელსაც ჩირაღდანი ათენის აეროდრომზე უნდა მიეტანა, 340 ბერძენი სპორტსმენი მონაწილეობდა. ესტაფეტის პირველი მონაწილე ჟორჟ მარცელოსი იყო — საბერძნეთის ჩემპიონი 110 მეტრზე თარჯრბენში. მარცელოსმა მიიღო ცეცხლი და ჩირაღდანი დაანთო იმ სამარხის თავზე, რომელშიც თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ამღორძინებლის, ფრანგი ბარონის პიერ დე კუბერტენის გული იყო მოთავსებული. ჩირაღდანმა დაიწყო ხანგრძლივი მოგზაურობა. შაბათ ღამეს ღვთაებრივმა ცეცხლმა ათენის აეროდრომზე „შედგა ფეხი". იქ მას მოუთმენლად ელოდა 300-მდე რეპორტიორი, კორესპონდენტი, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენელი. ხანმოკლე შესვენების შემდეგ იაპონურმა თვითმფრინავმა საზეიმოდ მიიღო ჩირაღდანი და სტამბოლისაკენ აიღო კურსი. ცეცხლს თან 30 საპატიო ყარაული მიყვება. იაპონიისაკენ გზაზე იგი შეისვენებს: სტამბოლში, ბეირუთში, თეირანში, ლახორში, დელიში, რანგუნში, ბანგკოკში, კუალა ლუმბურში, მანილაში, გონკონგში და ტაიფუში. 6 სექტემბერს ჩირაღდანი ოკინავაში ჩავა.

ჩირაღდნის ანთების საზეიმო ცერემონიალს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი იასუკავაც დაესწრო და, ბუნებრივია, მას ჟურნალისტები არ შორდებოდნენ. პრეზიდენტს სეტყვასავით აყრიდნენ შეკითხვებს: ხომ არ ჩაქრება გზაში ჩირაღდანი? რა მოხდება თუ ვინმეს გაუვარდება იგი ხელიდან? რომელმა ფირმამ დაამზადა ოლიმპიური ჩირაღდანი? რა შეიძლება ითქვას უკანასკნელ იაპონელ მეჩირაღდნეზე — იოშინორი საკაიზე?

იასუკავა ყველა კითხვაზე კონკრეტულად პასუხობდა. ჩირაღდანი არ ჩაქრება, რადგან იგი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშაა დღისითაც და ღამითაც. ჩირაღდანი არავის არ გაუვარდება ხელიდან, რადგან მეჩირაღდნეები უკვე ერთ თვეზე მეტია რაც ვარჯიშობენ. ტოკიოში ჩირაღდნის ესტაფეტამ გენერალური რეპეტიცია გაიარა და საკმაოდ წარმატებით. საორგანიზაციო კომიტეტი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თვლიან, რომ კეთილშობილური ოლიმპიური ჩირაღდანი არც ერთმა ფირმამ არ უნდა გამოიყენოს რეკლამის მიზნით. ამიტომ იგი სპორტული ორგანიზაციების ერთობლივი ძალით დამზადდა.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებს მოუთხრო იოშინორი საკაიზეც — უკანასკნელ იაპონელ მეჩირაღდნეზე. — ჩვენი სურვილია, — განაცხადა მან, — რომ ამ ჭაბუკის ხელში აგიზგიზებულმა ცეცხლმა გაგვახსენოს სხვა უფრო საშინელი, ყველაფრის შთანმთქმელი ალი, რომელიც 1945 წლის 6 აგვისტოს — ჭაბუკის დაბადების დღეს მოედო ჩვენს მიწას.

იაპონიის გაზეთი „მაინიხი დეილი ნიუსი" ამას წინათ წერდა: საკაიმ განაცხადა, რომ „ჩირაღდნის ხელში აღების დღე, დაუვიწყარი იქნება ჩემს ცხოვრებაში. მოუთმენლად ვადევნებ თვალს ოლიმპიური ცეცხლის მოგზაურობას".

მას სხვებიც ადევნებენ თვალს. ყოველ ქალაქში, სადაც კი გაჩერდება ოლიმპიური ჩირაღდანი, ზეიმით და მანიფესტაციებით შეხვდებიან მშვიდობის ამ ულამაზეს სიმბოლოს.

## უკანასკნელი საათი...

◆ კიევი, 29 აგვისტო. აქ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა მინსკელმა მ. იტკინამ 400 მ რბენაში. მან დისტანცია დაფარა 53 წამში. ეს შედეგი 0,3 წამით აღემატება ავსტრალიელი ბ. კატბერტის მსოფლიო რეკორდს.

ამ დღეს „დაეცა" აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველაზე ძველი (თერთმეტი წლის წინანდელი) რეკორდი 400 მ თარჯრბენში. იგი დაამყარა კიეველმა ვ. ანისიმოვმა — 50,3 წ. ხარკოველმა სტუდენტმა გ. ბლიზნეცოვმა ჭოკით ხტომაში დაძლია 480 სმ, რაც საბჭოთა კავშირის რეკორდს 5 სმ-ით აღემატება. 200 მ ნახევარფინალურ გარბენში მოსკოველმა ბ. ზუბოვმა გაიმეორა ჩვენი ქვეყნის რეკორდი — 20,9 წამი

◆ **ჰავანა, 29 აგვისტო.** ხ. კაპაბლანკას ხსოვნის ტურნირზე გადადებული პარტიების დამთავრებამ ასეთი შედეგები მოგვცა: ულმანმა მოუგო კობოს, პორტიშმა — დარგას, ევანსმა — პადევსკის. ყაიმზე შეთანხმდნენ ევანსი — ტაიმანოვი და ოკელი — სმისლოვი. ორი ტურის შემდეგ როსეტოსა და შტალბერგს 2-2 ქულა აქვთ.

◆ *სოჭი, 29 აგვისტო. მ. ჩიგორინის ხსოვნის ტურნირზე გაიმართა მე-2 ტური. დამიანოვიჩი დამარცხდა მატულოვიჩთან, გარსია — ფორინტოშთან. ყაიმით დამთავრდა გეორგიუ — ნეჟმეტდინოვის პარტია.*

◆ **მოსკოვი,** 29 აგვისტო. აქ დაიწყო სსრ კავშირის, ფინეთის, უნგრეთის (ორი გუნდი) ნაკრები გუნდებისა და აგრეთვე რსფსრ-ს, ესტონეთის, ლატვიის, სომხეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენთა შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრების პირველ დღეს — ცხენოსნურ კროსში, 4-მა სპორტსმენმა — შარფალვიმ (უნგრეთი), იაროშევსკიმ (ლენინგრადი), მინეევმა (სსრკ) და ნიკიტინმა (რსფსრ) ქულათა ერთნაირი რაოდენობა — 1.100 დააგროვეს. პირველი ადგილი უნგრელს მიეკუთვნა, რომელმაც 1.500-მეტრიან დისტანციაზე 3.11,5 უჩვენა.

## სუეტინი და პეტერსონი ფინალში

**მინსკი,** 29 აგვისტო (**დეპეშით ჩვენი სპეც. კორ**). სსრ კავშირის 1964 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალზე გათამაშდა უკანასკნელი მე-17 ტური. სატურნირო ცხრილი თუმცა მთლიანად არ შევსებულა, მაგრამ ორი მოჭადრაკე, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, ცნობილია — ესენია დიდოსტატი ა. სუეტინი და ოსტატი ა. პეტერსონი. მათ ბოლო ტურში თავიანთი პარტიები ალმავლობით ჩაატარეს და თითო ქულა ჩაიწერეს. სუეტინმა მოუგო ვალიევს, ხოლო პეტერსონმა — ზილბერს. ორეულში მოხვედრის მესამე პრეტენდენტმა ბოიარინოვმა სუსტად ითამაშა და დამარცხდა ვოორემაასთან. გურგენიძემ დაამარცხა ნ. გაფრინდაშვილი და ახლა იგი ჯერჯერობით 3-4 ადგილებს იყოფს ბოიარინოვთან ერთად. ხოდოსთან გადადებული პარტიის მოგების შემთხვევაში ეტრუკი ეწევა მათ. შაგალოვიჩმა მოუგო მიკენასს. ნოსკოვ—მუხინისა და კრუტიხინ—ზახაროვის პარტიები ყაიმით დასრულდა.

სიცხადეს სატურნირო ცხრილში შეიტანს გადადებული პარტიების დამთავრება. ჯერჯერობით კი სუეტინსა და პეტერსონს 12,5-12,5 ქულა აქვთ. ბოიარინოვსა და გურგენიძეს 11-11. ნ. გაფრინდაშვილმა 6 ქულა მოაგროვა.

**მ. შიშოვი,**
**სპორტის ოსტატი**

● ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა დაამთავრა „ოლიმპიური საცხოვრებელი ადგილის განაწილება". ეს არც თუ ადვილად გადაწყდა. საჭირო იყო ისე გაენაწილებინათ 96 ქვეყნის 8 ათასზე მეტი მონაწილე, რომ მათ რაღაც საერთო ჰქონოდათ ენაში, გემოვნებასა და ჩვევებში. 10 ოთხსართულიან შენობაში განლაგდებიან ოლიმპიელი ვაჟები. დანარჩენ ოთხში — ოლიმპიელი ქალები. მეზობლები იქნებიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სპორტსმენები — მათი სახლები ერთმანეთის გვერდით დგანან. საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად იქნებიან მონღოლი, რუმინელი, უნგრელი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიელები.

● დათვლილია, რომ ოლიმპიური სოფლის 3 რესტორანში შეჯიბრებების დროს დამზადდება 661 ათასი კერძი. გაზეთები ამას „ყველაზე დიდ ოპერაციას" უწოდებენ. რესტორნები „ფუძი" და „საკურა" ერთდროულად 2500 სპორტსმენს მოემსახურება. მენიუში ყოველდღიურად ევროპული და აღმოსავლური სამზარეულოს არანაკლებ 150 კერძი იქნება.

● მწყობრში ჩადგა პირველი უბანი მონოლიანდაგიანი რკინიგზისა, რომელიც საერთაშორისო აეროპორტს ტოკიოს ცენტრთან შეაერთებს. 3 თეთრ-მოცისფერო ვაგონების პირველი მგზავრები იყვნენ საზღვარგარეთელი და იაპონელი ჟურნალისტები. მათ უმოკლეს დროში — რამდენიმე წუთში დაფარეს 8-კილომეტრიანი გზა. გზის საერთო სიგრძე, რომელიც ექსპლოატაციაში შევა ოლიმპიადის გახსნის წინ, მიაღწევს თითქმის 13 კილომეტრს.

● *სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში ტოკიოს აეროპორტში მგზავრთა ნამდვილი შემოსევა იქნება. ვარაუდობენ ამ პერიოდში დამატებით 365 რეისის გაშვებას.*

● ლენინგრადის საშაქარლამო ნაწარმის ოსტატებმა 300 ტონა შოკოლადი, ვაფლი და სხვა ტკბილეული მოუმზადეს საბჭოთა და უცხოელ ოლიმპიელებს. ლამაზად შეფუთული საშაქარლამო ნაწარმის პირველი პარტია უკვე ჩატანილია დანიშნულების ადგილზე.

# დღეს და მომავალში

საქართველოს მეორე ქალაქი — ქუთაისი—ჩვენი დიადი მშენებლობის ყველა უბანზე იბრძვის იმისათვის, რომ მოწინავე იყოს კომუნისტური შრომის, კულტურის, ფიზკულტურული მოძრაობის, სპორტული მაჩვენებლებითაც.

და მართლაც, ჩვენი ქალაქი თავისი ორგანიზაციებით ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებს შორის. **მან ჯერ კიდევ 1960 წელს მოიპოვა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და დღემდე მეოთხედ ინარჩუნებს მას.**

ეს მაღალი ჯილდო ერგოთ ქუთაისის 42 ათასზე მეტ ფიზკულტურელს და სპორტსმენს (ქალაქის მოსახლეობის 28,3 პროცენტი), რომელთა შორის 110 სპორტის ოსტატი, 1121 პირველთანრიგოსანი და 22 ათასზე მეტი სხვა თანრიგოსანია. მათ აღზრდასა და ფიზიკურ წრთობას ხელმძღვანელობენ დიდი საზოგადოებრივი აქტივი, მსაჯები, მწვრთნელები, მეთოდისტები, ინსტრუქტორები, 28 საზოგადოებრივი სექცია, 6 სპორტული საზოგადოება. ქუთაისში ამჟამად კულტივირებულია სპორტის 41 სახეობა, ხოლო მარტო 1963 წელს ჩატარებულ ფიზკულტურულ-მასობრივ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 300 ათასზე მეტმა მშრომელმა.

მასობრიობამ, ცხადია, განაპირობა სხვა მიღწევებიც. დავიწყებთ იმით, რომ საკავშირო მასშტაბით ისახელეს თავი ქალაქის ფიზკულტურის მთელმა რიგმა კოლექტივებმა, რომელთა შორისაც, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ქუთაისის საავტომობილო ქარხანა (მან 1961 წელს მიიღო სპორტული კლუბის წოდება), რკინიგზის კვანძი (უახლესი სპორტული კლუბი „თბომავალი"), სამთო ტექნიკუმი, აბრეშუმის კომბინატი, პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვ.

გაიზარდა ქუთაისელ სპორტსმენთა რიცხვი, რომლებმაც რესპუბლიკის ჩემპიონის, რეკორდსმენის მაღალი წოდებები მოიპოვეს, ან მოხვდნენ პრიზიორთა შორის და აჩვენეს მაღალი სპორტული შედეგები. ეს რიცხვი დღეისათვის მოზრდილთა შორის 500-ით გამოიხატება, ხოლო მოსწავლეთა შორის 300-ით. საქართველოს III სპარტაკიადაზე გასულ წელს კარგად გამოვიდნენ კალათბურთელები, თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავენი, ველოსიპედისტები, მოკრივეები, მოფარიკავეები, ტანმოვარჯიშეები და ა. შ.

მაგრამ კომუნისტური მშენებლობის დღევანდელი ამოცანები, ჩვენს წინაშე დასმული ახალი, გაზრდილი მოთხოვნები გვავალებს, რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ არა უკვე მოპოვებულ წარმატებებს, არამედ ხარვეზებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ჩვენს მუშაობაში და აფერხებს მომავალი, კიდევ უფრო მძლავრი განვითარების პროცესს.

ამ თვალსაზრისით თუ გადავხედავთ განვლილ მუშაობას, უპირველესად ყოვლისა უნდა დავიწყოთ იმით, რითაც წინა თხრობა დავამთავრეთ — საქართველოს III სპარტაკიადით. აქ მოპოვებული ცალკეული წარმატებები მაინც ვერ ანაზღაურებენ იმ ნაკლს, რომ ქუთაისის სპორტულმა დელეგაციამ საერთო ჩათვლაში სპარტაკიადაზე მოიპოვა მხოლოდ მეოთხე ადგილი. ჩვენს ქალაქს, შესაძლებლობებისდა მიხედვით, შეეძლო მოეპოვებინა გაცილებით უფრო კარგი შედეგი.

ჩვენი ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ მთლიანად როდი აქვს შეგნებული ფიზკულტურისა და სპორტის დიდი მნიშვნელობა და ჯეროვნად როდი უწყობს ხელს მათი დანერგვა-განვითარების პროცესს. ამის შედეგად კი შედარებით ნაკლებად იზრდება ქალაქის ფიზკულტურელთა რიცხვი, არადამაკმაყოფილებელია მუშაობა საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელებთან, განსაკუთრებით ქალთა შორის, სათანადო ყურადღება არ ექცევა საწარმოო ტანვარჯიშს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა ვუსაყვედუროთ „განთიადისა" და „ბურევესტნიკის" საქალაქო საბჭოებს.

ჩვენ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს, განსაკუთრებით საზოგადოებრივი საწყისის საფუძველზე, რომ ქუთაისის ფიზკულტურელები და სპორტსმენები დავაკმაყოფილოთ სპორტული ბაზების მდიდარი ქსელით. ქალაქში არ არის სასროლეთი, ტრეკი, ფარიკაობის, ფრენბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის [illegible] კალათბურთისა და [illegible] ბაზები, კეთილმოუწყობელია [illegible] წყალჯომარდობის [illegible], იპოდრომი, სტადიონთან არსებული მძლეოსნური სექტორები. ერთობ გაჭიანურდა განათლების განყოფილების საცურაო აუზის მშენებლობა. ახალგაზრდობის სპორტული სკოლა მოთავსებულია... კალათბურთის დარბაზის ქანდარაზე, ოთახში, სადაც ყოვლად შეუძლებელია ნორმალური მუშაობა.

აი, შესასრულებელი საქმიანობის ის ერთობ არასრული სურათი, რომელიც გვავალებს გაორკეცებული ძალებით ვიბრძოლოთ ქალაქად ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მოძრაობისათვის ახალი, უფრო მძლავრი ბიძგის მისაცემად.

ეჭვი არ არის, რომ ქუთაისის სპორტული ორგანიზაციები, პარტიული ხელმძღვანელობის დახმარებით, ბეჯითად შეეჭიდებიან ამ ამოცანებს და ღირსეულადაც დაძლევენ მათ.

ქუთაისი იყო, არის და უფრო მეტადაც უნდა იყოს ქართული სპორტის ავანგარდში!

**ლ. ახვლედიანი,**
**ქუთაისის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე.**

# მარუხის გადასასვლელზე

*კარვის კალთებზე ვერც კი მოასწრო პირველმა სხივმა აკიაფება, რომ დროებითი ბანაკი აიშალა. კოცონის უკანასკნელი ნაკვერცხალიც ჩაიფერფლა.*

*წინმავალის ნაბიჯებს ოცდაათი წყვილი ფეხი მიჰყვებოდა. ოცდაათის გაოცებული თვალი შეჰყურებდა ცადატყორცნილ თეთრწვერა მთებს.*

*წინ კვლავ ბილიკები იხლართებოდა ერთმანეთში. ისინი ხან უზარმაზარ მთებს ექცეოდნენ თავზე, ხან მდინარე ჩხალთის ნაპირებს ჩაუყვებოდნენ, ხან კი დაკიდებულ ხიდზე აგრძელებდნენ გზას. ბილიკებს ოცდაათი ტურისტი მიჰყავდა მარუხის გადასასვლელისკენ.*

*ისინი უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ.*

*ჯერ კიდევ თბილისში, კომკავშირის კომიტეტში დაიბადა აზრი ამ ლაშქრობის შესახებ, შემდეგ უნივერსიტეტის გუდაუთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის გეგმაში შეიტანა იგი ხელმძღვანელობამ. ბევრს, ძალიან ბევრს ჰქონდა მარუხზე წასვლის სურვილი, მაგრამ მარტო სურვილი როდი კმარა ასეთი სერიოზული ლაშქრობისათვის. და აი, 19 ივლისს, ოცდაათი კაცი ზღვის სანაპიროდან გაეშურა მთებისკენ.*

*უკან დარჩა უნაპირო ზღვის მოლივლივე ტალღები, წინ კი საინტერესო და უჩვეულო სანახაობები ელოდათ ახალგაზრდებს.*

*სოფელ ჩხალთასთან შეწყდა სამანქანო გზა და დაიწყო ტურისტული ცხოვრება.*

*პირველი სიძნელეები, პირველი აღმართები, პირველი საათები უჩვეულო ცხოვრებისა.*

*ოთხი საათის სიარულის შემდეგ გამოჩნდა ტყეში მიმოფანტული რამდენიმე სახლის სახურავი. ესეც სოფელი აცგარა. პირველი ღამისთევა.*

*ვერავის ნახავდით ერთ ადგილზე გაჩერებულს. ნ. ტყეშელაშვილი პროდუქტების საქმეებს აგვარებს, მასწავლებელი ჩ. ძებისაშვილი კარვის გაშლაში ეხმარება გოგონებს, ო. შეშელიძე და ზ. გამსახურდია კოცონის დანთებაზე ზრუნავენ, ნ. ბუაძე და მ. ხარშილაძე ვახშმის თადარიგში არიან, ხოლო ჰ. მელაძე — ამ საქმის ორგანიზატორი და ლ. ნარიმანიშვილი — ლაშქრობის ხელმძღვანელი ხვალინდელი გზის შესახებ მსჯელობენ.*

*მეორე დილას ხეობაში ჩამოწოლილ ნისლთან ერთად აუყვნენ ტურისტები მდინარის ნაპირს.*

*გადაწყდა, ძირითადი ბანაკი გაეშალათ მინერალურ წყლებთან, რომელიც სამკურნალო თვისებებითაა ცნობილი.*

*მესამე დღეს მოიერიშე ჯგუფი თერთმეტი კაცის შემადგენლობით განაგრძობდა გზას.*

*შემდეგი ბანაკი ჯგუფმა მოაწყო მდინარე ჩხალთისა და მარუხის შესართავთან. ჩხალთის კოლმეურნეობის ფერმის მშრომელებმა გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს ტურისტებს. გადასასვლელამდე სულ რამდენიმე კილომეტრიღა იყო დარჩენილი.*

*დილით ადრე სვანებმა რამდენიმე წუთის სავალზე გააცილეს ახალგაზრდები. სამი საათის შემდეგ ბილიკი მყინვართან შეწყდა. საჭირო იყო დიდი სიფრთხილე. მყინვარი მზის მცხუნვარებას ვერ უძლებდა და ჩვენს თვალწინ უზარმაზარი ნაპრალები ჩნდებოდა. დამდნარი თოვლი ნაპრალებში იკარგებოდა და ჩანჩქერად ეცემოდა აქაფებულ მდინარე მარუხში.*

*აი, უკანასკნელი მეტრებიც მოთავდა და გადასასვლელზე ლენინგრადელი სტუმრები მასპინძლობას უწევენ კავკასიელ მასპინძლებს. ცხელი კაკაო და მეგობრული ხელის ჩამორთმევა, სურათების გადაღება და მისამართების გაცვლა. ორი ქალაქის სტუდენტების მეგობრობა 2769 მეტრ სიმაღლეზე დაიწყო.*

*შემდეგ გმირთა ხსოვნის პატივსაცემად ტურისტები რამდენიმე წუთს იდგნენ მდუმარედ ობელისკთან.*

*წარსულის კვალი ჯერ კიდევ ატყვია ნაომარ ადგილს. ყუმბარების ნამსხვრევები და ძვლები მიმოფანტულა ირგვლივ. მეხსიერებაში ცოცხლდება პარტიზან გმირთა სახეები, ვინც თავი შესწირა სამშობლოს უღრუბლო ცას, ისეთ ცას, როგორსაც ახლა შეხაროდნენ ახალგაზრდები.*

*კავკასიონი იდგა მშვიდი და ამაყი. მარუხის გადასასვლელი შორეულ უშბას უტოლდებოდა სიდიადით და გმირული წარსულით.*

*26 ივლისს გუდაუთის ბანაკი მღელვარებით მოელოდა მოლაშქრეებს. ზღვის ტალღები საზეიმო შეხვედრას უწყობდა ახალგაზრდობას, სიხალისეს. ოპერატორი ლ. არცივაძე ამ საინტერესო ლაშქრობის უკანასკნელ კადრებს იღებდა.*

*მის მონაწილეებს კი არასოდეს დაავიწყდებათ აფხაზეთის სვანეთი თავისი ტყეებითა და მდინარეებით, მთიდან ჩამოვარდნილი ჩანჩქერებით და საოცრად ლამაზი ღამეებით, თოვლიან მწვერვალებზე დანთებული მთვარე, სტუმართმოყვარე და გულღია სვანები, თოვლიანი კამკამა ტბა და ლოდებზე დამსხვრეული მთის მდინარეები, გმირული ბრძოლების მოწმე მარუხი და გამარჯვებით განცდილი სიხარული. ისინი სამუდამოდ „დაავადდნენ" მთის სიყვარულით.*

**ლუიზა ნარიმანიშვილი,**
ლაშქრობის ხელმძღვანელი.

## გულრიფში

გულრიფშის რაიონის სოფელ ვლადიმიროვკაში ახალგაზრდებს შორის სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში (თავმჯდომარე ლ. უბირია) შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის და სხვა სექციები. აქ ხშირად ტარდება შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე პ. ქარჩავა) ახლახან ახალგაზრდა სპორტსმენებს 800 მანეთის სპორტული ინვენტარი შეუძინა. მოეწყო სტადიონი და სხვა მოედნები.

**ი. თოფურია**

## დუშეთი

ამ უკანასკნელ ხანს დუშეთის ფეხბურთელთა გუნდი აღმავლობის გზაზე დადგა. რაიონის სპორტკავშირის ხელმძღვანელობამ იმსჯელა გუნდის ავ-კარგიანობაზე და დასახა სათანადო ღონისძიებანი. ახლახან დუშეთში ჩატარდა მატჩი ადგილობრივ „არაგვსა" და თიანეთის „იორს" შორის. დუშელმა ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და მიაღწიეს დამაჯერებელ გამარჯვებას — 3:1.

* * *

გასულ წელს დუშეთის რაიონის სოფელ არღუნის 8-წლიან სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მოვიდა ახალგაზრდა პედაგოგი ვ. ჯავახიშვილი. სულ მალე აქ საკუთარი ძალებით მოეწყო ფეხბურთის მოედანი.

არღუნის სკოლის გუნდმა ზაფხულის არდადეგების პერიოდში ჩაატარა რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა რაიონის სოფლების გუნდებთან და წარმატებებსაც მიაღწია. არღუნელმა მოსწავლეებმა მოუგეს დუშეთის სპორტსკოლის ფეხბურთელებს — 4:3, სოფელ ყვავილის 8-წლიანი სკოლის გუნდს — 3:0, ხოლო ბაზალეთის 8-წლიანი სკოლის კოლექტივთან ითამაშეს ფრედ — 2:2.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლამ შეიძინა სპორტული ინვენტარიც.

**ვ. ლურბელაშვილი**



ავჭალის შუშის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს. სხვადასხვა სახის სექციებსა და წრეებში ნაყოფიერ წვრთნას გადიან ქარხნის ფიზკულტურელები.

ყოველდღე მთელი დატვირთვით მეცადინეობს მოჭიდავეთა სექცია, რომელშიც 4 ჯგუფია გაერთიანებული.

ს უ რ ა თ ზ ე: მოჭიდავეთა სექციის ხელმძღვანელი ვ. სულიკაშვილი სპორტსმენებს ტექნიკაზე ავარჯიშებს. ფოტო და ტექსტი ვ. გოგაძისა.

## „ლელო" წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის № 129-ში დაიბეჭდა მასალა სათაურით „სად არის სიმართლე?" წერილში ლაპარაკი იყო სტუდენტთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მოჭიდავეთა ტურნირზე, კერძოდ, მძიმე წონის სპორტსმენთა შორის ადგილების განაწილებაზე. მასალის ავტორს აინტერესებდა, სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა მსაჯთა კოლეგიამ, როდესაც პირველი ადგილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრს ა. ხაბეიშვილს მიაკუთვნა და არა უნივერსიტეტელ დ. ბულაძეს. საქმე ისაა, რომ ბულაძემ ჩაატარა 4 შეხვედრა (ერთი წაგება, ერთი ფრე, ორი გამარჯვება), ხაბეიშვილმა კი სამი (ერთი წაგება, ორი გამარჯვება). ამასთან, ურთიერთბრძოლაში ორივე მოჭიდავეს დამარცხება ჩაეთვალა.

აღნიშნული წერილი განიხილა ჭიდაობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ. აი რა გვაცნობა მან:

მსაჯთა კოლეგია თავის გადაწყვეტილებაში სწორი იყო, ჭიდაობის წესებში ნათქვამია: შეჯიბრების ფინალის ჩატარებისას გამარჯვებულად ითვლება ის მოჭიდავე, რომელიც ნაკლები საჯარიმო ქულით დაამთავრებს ტურნირს. თუ ფინალში ორი სპორტსმენი თანაბარი ქულებით გავიდა, უპირატესობა ურთიერთშეხვედრაში გამარჯვებულს ენიჭება, ხოლო თუ ეს ბრძოლაც უშედეგო გამოდგა, გამარჯვებული იქნება სპორტსმენი, რომელსაც ნაკლები ქულა აქვს მთელი შეჯიბრების მანძილზე.

ბულაძე და ხაბეიშვილი ერთმანეთს პირველსავე წრეში შეხვდნენ. ეს, ფაქტიურად, მათთვის ფინალური ბრძოლა იყო. შეხვედრა დამთავრდა უშედეგოდ. რადგან არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ქულა ტექნიკური მოქმედებისთვის, ორივეს დამარცხება მიესაჯა.

მართალია, ტურნირის მანძილზე ხაბეიშვილს ერთი ბრძოლით ნაკლები ჰქონდა ჩატარებული, მაგრამ მან, ამავე დროს, ნაკლები საჯარიმო ქულაც (3) მიიღო. ბულაძის 5 ქულა კი მისი მეორე ადგილის მიზეზი გახდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ შეხვედრათა რაოდენობას, მაშინ საჭიროა საჯარიმო ქულების გაყოფა ბრძოლათა რაოდენობაზე, რათა დადგინდეს კოეფიციენტი. ასეთი ოპერაციის შემდეგაც უპირატესობა ხაბეიშვილის მხარესაა. ასე რომ, მსაჯთა კოლეგიამ სწორად და ერთადერთი გზით გადაწყვიტა ეს სადაო საკითხი.

# ცურვას დაეუფლა ბანაკის ყველა წევრი

ქობულეთის მახლობელი ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატი წელს მეორედ ჰქონდა „დაპყრობილი" საქართველოს პროფკავშირების მოსწავლეთა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკს (უფროსი — სამხატვრო აკადემიის ფიზკულტურის კათედრის გამგე ლ. გაჩავა). წელს აქ იწრთობოდნენ და სხეულს იკაჟებდნენ 1947-1952 წლებში დაბადებული მოსწავლე-სპორტსმენები, რომლებსაც სათავეში ედგათ გამოცდილი მწვრთნელები ვ. ქადეიშვილი, ნ. კალანდაძე, ბ. და გ. ნადირაშვილები და სხვ.

ბანაკში ყოველდღიურად ტარდებოდა საწვრთნო მეცადინეობანი, ხშირად ეწყობოდა შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. დიდი ყურადღება მიექცა ცურვის შესწავლას — ბანაკის ყველა წევრი დაეუფლა მას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბანაკის სპორტსმენებმა შეფობა გაუწიეს ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივს. კოლმეურნე-სპორტსმენებთან მოეწყო მრავალი საინტერესო სპორტული შეხვედრა. ბანაკის ახალგაზრდები მათ ჩაის კრეფაშიც მიეხმარნენ.

ახლა კი მოზარდმა სპორტსმენებმა თავის მშობლიურ თბილისს მიაშურეს. იქ მათ სამაჩო შეხვედრა ელით მძლეოსნობაში ერევნელ თანატოლებთან.

**ლ. ტრაპაიძე**

# კალათბურთელთა წინასაოლიმპიადო ტურნირი

დღეს მოსკოვში, სპორტის სასახლეში იწყება კალათბურთელ ვაჟთა წინასაოლიმპიადო ტურნირი, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობს. კოლექტივები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად, სადაც თამაშები წრიული სისტემით ჩატარდება. ჯგუფებში პირველ სამ ადგილზე გამოსული გუნდები შექმნიან ფინალურ ექვსეულს. წინასწარი, ანუ ქვეჯგუფებში გამართულ შეხვედრათა შედეგები ფინალში ჩაითვლება. ტურნირი დამთავრდება 7 სექტემბერს.

კენჭისყრამ გუნდები ასეთი თანმიმდევრობით გაანაწილა: I ჯგუფი — სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები, „დინამო" (ნაკრები), გდრ (ნაკრები), ფინეთი (ნაკრები), არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა (ნაკრები). II ჯგუფი — საბჭოთა არმია (ნაკრები), პროფკავშირები (ნაკრები), სტუდენტთა ნაკრები, ბულგარეთი (ნაკრები), სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები.

როგორც ხედავთ, მონაწილეთა შემადგენლობა საკმაოდ ძლიერია. ასე მაგალითად, საბჭოთა არმიის ნაკრებში არმიელთა ოთხი კოლექტივის მოთამაშეებია გაერთიანებული — ცსკა-ს, რიგის, კიევისა და ლენინგრადის სკა-ს კალათბურთელები. პროფკავშირების ნაკრებში მოხვდნენ ვეფის, „კალევისა" და კიევის „სტროიტელის" მოთამაშეები, „დინამოს" ნაკრებში — მოსკოვისა და თბილისის თანაკლუბელები. როგორც ხედავთ, ყოველ ზემოჩამოთვლილ ნაკრებს წარმატებით შეუძლია იბრძოლოს რომელ დიდ საერთაშორისო ტურნირშიც გნებავთ.

ახლა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების შესახებ. მასში შეყვანილია 14 მოთამაშე: ა. ალაჩაჩიანი, ა. ტრავინი, ვ. ხრინინი, ვ. მუიჟნიეკსი, ა. გულბისი, ი. კალნინში (მცველები), გ. ვოლნოვი, ი. კორნეევი, ლ. მოსეშვილი, ნ. ბაგლეი, მ. პაულაუსკასი (თავდამსხმელები), ი. კრუმინში, ა. პეტროვი, ი. ლიპსო (ცენტრალური თავდამსხმელები). მაგრამ ოლიმპიურ ტურნირში ხომ მხოლოდ 12 სპორტსმენს უშვებენ? ეს მართალია და მაინც მოთამაშეთა შერჩევის მიზნით საკავშირო ფედერაცია ამ ღათმობაზე წავიდა.

ნაკრების მწვრთნელების ა. გომელსკისა და ი. ოზეროვის აზრით, ამ 14 კალათბურთელში 8 ნაკრების 100-პროცენტიანი წევრია: ა. ალაჩაჩიანი, ა. ტრავინი, ვ. მუიჟნიეკსი, გ. ვოლნოვი, ი. კორნეევი, ლ. მოსეშვილი, ი. კრუმინში, ა. პეტროვი. დანარჩენი ექვსეულიდან (და [illegible] ტურნირის მონაწილე სხვა გუნდებიდან) შეირჩევა 4 კალათბურთელი — ტოკიოში გასამგზავრებლად.

# ბრძოლა საპატიო პრიზებისათვის

*სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში დადგა მცირე შესვენება: ბოლო თამაშები შედგა 26 აგვისტოს, მორიგი ტური კი ჩატარდება 2 და 3 სექტემბერს.*

*საინტერესოა, რა მდგომარეობაა იმ საპატიო პრიზებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დაწესებულია გათამაშებაში მონაწილე გუნდებისა და ცალკეული მოთამაშეებისათვის?*

● *საუკეთესო სნაიპერთა შორის დაწინაურდა კიევის „დინამოს" ცენტრალური თავდამსხმელი ვ. კანევსკი, რომლის პირად ანგარიშზეა 10 ბურთი. მომდევნო სამ ადგილზე არიან მოსკოვის „ტორპედოს" ფორვარდები ვ. ივანოვი და ო. სერგეევი, აგრეთვე მოსკოვის არმიელთა გუნდის წარმომადგენელი ვ. ფედოტოვი. თვითეულ მათგანს გატანილი აქვს 9 გოლი.*

● *ყველაზე შედეგიანი თავდასხმა „ა" კლასის პირველ ჯგუფში ჰყავს მოსკოვის „ტორპედოს". ამ გუნდმა 20 თამაშში გაიტანა 37 ბურთი და ჯერჯერობით ინარჩუნებს პრიორიტეტს გ. ფედოტოვის სახელობის პრიზის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ლიდერის უახლოესი კონკურენტია ცსკა — 32 გოლი. მომდევნო ადგილებზე არიან „დინამო" (კიევი) და სკა (როსტოვი) — 30 ბურთი თვითეულს.*

● *„ფუტბოლის" პრიზით ჯილდოვდება გუნდი, რომელიც ყველაზე მეტ თამაშს მოიგებს 3 და მეტი ბურთის განსხვავებით. მოსკოვის ტორპედოელებს მოგებული აქვთ 6 მატჩი (მოსკოვის „სპარტაკთან" — 5:0, მინსკის „დინამოსთან" — 3:0, „ზენიტთან" — 4:0, „მოლდოვასთან" — 3:0, „კრ. სოვეტოვთან" — 4:0, „შინიკთან" — 4:1). სპარტაკელებს მოპოვებული აქვთ 4 ასეთი გამარჯვება, ცსკა-ს — 3.*

● *სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრიზზე დუბლშემადგენლობათა გუნდებისათვის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს 3 კოლექტივს შორის. მოსკოვის „სპარტაკს", თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაგროვილი აქვთ 28 ქულა თვითეულს 21 ტურის შემდეგ. მათს შორის ადგილები განაწილებულია ბურთების უკეთესი სხვაობით. დაწინაურებულებს კვალში მიჰყვებიან კიევის „დინამო" და „შახტიორი", რომლებსაც 1 ქულით ნაკლები აქვთ.*

● *სპორტკავშირის ცენტრალურ საბჭოს აქვს კიდევ ერთი პრიზი: საუკეთესო კლუბს, რომელიც ყველაზე კარგ შედეგს აჩვენებს ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა ჯამში.*

*აქ დაწინაურდნენ თბილისის „დინამო" და ცსკა — 55 ქულა. ორივეს ერთნაირი მაჩვენებელი აქვს: 27 ქულა ძირითად გუნდს, 28 — სათადარიგოს. მესამე ადგილზეა „ტორპედო" (მოსკოვი) — 53 ქულა (29+24), მეოთხეზე — კიევის „დინამო" — 52 ქულა (25+27).*

## ფეხბურთი

### საქართველოს პირველობა
### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 30 აგვისტოსათვის

I ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ენგურჰესი" ზუგდიდი | 20 | 12 | 7 | 1 | 41—16 | 31 |
| „დილა" გორი | 19 | 12 | 4 | 3 | 28—13 | 28 |
| „მეშახტე" ტყიბული | 21 | 10 | 6 | 5 | 23—14 | 26 |
| ფიზ. ინსტ. თბილისი | 20 | 8 | 8 | 4 | 27—16 | 24 |
| „მერცხალი" მახარაძე | 20 | 9 | 6 | 5 | 22—12 | 24 |
| „ციხკარი" ცხაკაია | 20 | 7 | 9 | 4 | 22—19 | 23 |
| „გურია" ლანჩხუთი | 19 | 8 | 6 | 5 | 33—18 | 20 |
| „შუქურა" ქობულეთი | 20 | 7 | 4 | 9 | 25—23 | 20 |
| „მესხეთი" ახალციხე | 19 | 9 | 2 | 8 | 24—28 | 20 |
| „მეტალურგი" ზესტაფონი | 22 | 6 | 8 | 8 | 15—20 | 20 |
| „მეშახტე" ტყვარჩელი | 21 | 6 | 7 | 8 | 21—23 | 19 |
| „ლოკომოტივი" სამტრედია | 21 | 7 | 5 | 9 | 27—36 | 19 |
| „დინამო" ქუთაისი | 20 | 5 | 7 | 8 | 17—32 | 17 |
| სას. სამ. ინს. თბ. | 14 | 4 | 7 | 3 | 21—17 | 15 |
| „სინათლე" თბილისი | 20 | 3 | 8 | 9 | 20—33 | 14 |
| „განთიადი" ბორჯომი | 20 | 4 | 6 | 10 | 18—31 | 14 |
| „მაღაროელი" ჭიათურა | 20 | 3 | 7 | 10 | 13—31 | 13 |
| „განთიადი" ბათუმი | 19 | 0 | 7 | 11 | 11—25 | 7 |

II ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „წინსვლა" წულუკიძე | 19 | 11 | 7 | 1 | 25—12 | 29 |
| „სამეგრელო" ზუგდიდი | 17 | 11 | 2 | 4 | 30—8 | 24 |
| „შახტმშენი" მარნეული | 17 | 8 | 7 | 2 | 26—13 | 23 |
| „ბახმარო" ჩოხატაური | 19 | 8 | 7 | 4 | 33—22 | 23 |
| „მეტალურგი" რუსთავი | 19 | 8 | 7 | 4 | 26—16 | 23 |
| „მექანიზატორი" ფოთი | 19 | 7 | 4 | 8 | 21—24 | 18 |
| „სპარტაკი" ცხინვალი | 18 | 6 | 5 | 7 | 28—20 | 17 |
| სკა თბილისი | 16 | 6 | 5 | 5 | 16—14 | 17 |
| „დურუჯი" ყვარელი | 17 | 6 | 5 | 6 | 19—19 | 17 |
| „სალხინო" გეგეჭკორი | 19 | 6 | 5 | 8 | 38—43 | 17 |
| „ნადიკვარი" თელავი | 17 | 5 | 6 | 6 | 16—26 | 16 |
| „იხანი" თბილისი | 17 | 5 | 4 | 8 | 26—28 | 14 |
| „საირმე" მაიაკოვსკი | 20 | 5 | 2 | 13 | 14—35 | 12 |
| „დინამო" სოხუმი | 18 | 2 | 6 | 10 | 11—20 | 10 |
| „კახეთი" ველისციხე | 18 | 3 | 4 | 11 | 14—43 | 10 |

## ახალი ამბები

● კიევი. მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღე კვლავ მაღალი შედეგებით აღინიშნა. ა. მიხაილოვმა 110 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 13,8, რაც ევროპაში საუკეთესო მაჩვენებელია წლევანდელ სეზონში. შუბის ტყორცნაში ჩემპიონი გახდა ი. ლუსისი — 79,85 მ. ქალთა 100-მეტრიან დისტანციაზე პირველი ადგილი დაიკავა გ. პოპოვამ —11,6.

● მოსკოვი. „დინამოს" სპორტდარბაზში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა წინასაოლიმპიადო ტურნირი. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა გუნდმა.

● კიშინიოვი. სსრ კავშირის 1964 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის კიშინიოვის ნახევარფინალზე 16 ტურის შემდეგ გამოირკვა ტურნირში გამარჯვებული. ესაა ტირასპოლელი ოსტატი ა. ლუტიკოვი. მას 12,5 ქულა აქვს და უკანასკნელი პარტიის შედეგის მიუხედავად, განაღდებული ფინალში მონაწილეობა. მას ორი ქულით ჩამორჩებიან საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო) და ოსტატი ი. კლოვანი (რიგა). ვილნიუსელმა ოსტატობის კანდიდატმა ა. ჩესნაუსკასმა 10 ქულა მოაგროვა და ოსტატობა შეასრულა. 9,5-9,5 ქულა დააგროვეს მინსკელმა ოსტატმა ბ. გოლდენოვმა და თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა თ. კიკიანმა. ბოლო ტურში თ. კიკიანი თბილისელ ა. ბოკუჩავასთან თამაშობს. მას ყაიმიც ყოფნის ოსტატი რომ გახდეს.



სურათზე: „განთიადის" საცურაო აუზში ნაყოფიერად მუშაობს ცურვის შემსწავლელთა ჯგუფი. მწვრთნელი ო. შერვაშიძე ავარჯიშებს დამწყებ მოცურავეებს.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

# სამი შეკითხვა

**ახალი ამბების სააგენტომ სამი შეკითხვით მიმართა გამოჩენილ საბჭოთა სპორტსმენებს. აი, ეს კითხვები:**

1. რა შედეგებს ელით ტოკიოს ოლიმპიადაში გამარჯვებულისაგან თქვენს სპორტულ სახეობაში?

2. ვის თვლით თქვენს ძირითად მეტოქედ და მთავარ პრეტენდენტად ოლიმპიურ ოქროს მედალზე?

3. რა არის თქვენი საყვარელი საქმიანობა, გატაცება, სპორტის გარდა?

## შესაძლებელია სიურპრიზები

**ლარისა ლატინინა,**

მელბურნისა და რომის ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში.

1. იაპონიის დედაქალაქში, წინა ოლიმპიადებთან შედარებით, შეიკრიბება ტანმოვარჯიშე ქალთა ყველაზე უფრო ძლიერი შემადგენლობა. ვფიქრობ, რომ მრავალჭიდში გამარჯვებული დააგროვებს „გროსმაისტერულ" ქულათა ჯამს — 77-78. პირველი ექვსი ტანმოვარჯიშის შედეგები დაახლოებით ერთნაირი იქნება: ყველაფერს გადაწყვეტს ქულების მეასედები და მეათასედებიც კი.

2. შესანიშნავი ჩეხოსლოვაკელი ტანმოვარჯიშე ვერა ჩასლავსკა პირველი პრეტენდენტია ოლიმპიურ ოქროს მედალზე. მას მშვენიერი ფიზიკური მონაცემები და ჩინებული ტექნიკა აქვს, ამასთან გამოირჩევა შედეგების განსაცვიფრებელი სტაბილურობით.

ძალიან სერიოზული მეტოქეები არიან გერმანელი, უნგრელი და იაპონელი ტანმოვარჯიშეები. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობრები — საბჭოთა გოგონები — არ აპირებენ „გასცენ" ის, რაც მათ ბრძოლით მოიპოვეს ჰელსინკში, მელბურნსა და რომში. პირად ჩათვლაში გამარჯვებაზე ფიქრობენ სოფია მურატოვაც, თამარ მანინაც, ნორჩი ელენე ვოლჩეცკაიაც და სხვებიც. სხვათა შორის, არც მე მსურს უკან დახევა.

თუმცა, ტოკიოში შესაძლებელია სიურპრიზები. ამის გარეშე, მგონი, „არ გადარჩენილა" არც ერთი ოლიმპიადა.

3. საყვარელი საქმიანობა? წიგნები და თევზის ჭერა. ერთიც და მეორეც მეხმარება შევინარჩუნო სულიერი წონასწორობა ცხოვრების ყოველგვარ სიტუაციაში.

## 8 მეტრი ჯერ კიდევ არ არის გამარჯვება

**იგორ ტერ-ოვანესიანი,**

მსოფლიოს რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში.

1. ოლიმპიურ თამაშებზე სიგრძეზე მხტომელები იშვიათად აჩვენებენ უმაღლეს შედეგებს: ამას ხელს უშლის ოლიმპიადის დაძაბული და, მე ვიტყოდი, ნერვიული ატმოსფერო, აგრეთვე მონაწილეთა მეტად დიდი რაოდენობა. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ოლიმპიადაზე გამარჯვების მოპოვება შესაძლებელი იქნება ისეთი შედეგით, როგორიცაა 820 სანტიმეტრი.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გამარჯვებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გქონდეს ფსიქოლოგიური უპირატესობა მეტოქეებზე. ასეთ უპირატესობას მოიპოვებს სპორტსმენი, რომელიც ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე გადახტება 835-840 სმ-ზე, ე. ი. დაამყარებს მსოფლიო რეკორდს. ხოლო პროგრესი, რომელსაც უკანასკნელ თვეებში მიაღწიეს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მხტომელებმა, ასეთ შედეგს გვპირდება ყოველდღიურად.

2. ყოველ სპორტსმენს, რომელიც 8 მეტრზე ხტება, — ასეთები დღეს ერთობ ბევრია, — მე ვთვლი ჩემს ძირითად მეტოქედ. განსაკუთრებით უნდა გამოვყოს ამერიკელი რალფ ბოსტონი და ჩემი თანაგუნდელი ლეონიდ ბარკოვსკი, რომელმაც ბოსტონი დაამარცხა ამასწინანდელ მატჩში — სსრკ — აშშ.

ძლიერი მეტოქეები ოლიმპიადაზე არ მოგვაკლდება. მაგრამ, ვიმეორებ, „სუფთა" ნახტომი 8 მეტრზე ეს ჯერ კიდევ არ არის გამარჯვება, საჭიროა უფრო შორს გაფრენა.

3. მე ვსწავლობ მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ჩემი სამეცნიერო ნაშრომის თემა, რომელიც მეტად საინტერესოდ მეჩვენება, დაკავშირებულია სპორტთან, სიგრძეზე ხტომასთან.

სპორტის გარდა კი მიყვარს ფერწერა და ხანდახან თვითონაც ვცდი ძალებს ამ სფეროში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს წმინდა სამოყვარულო ცდებია.

## ტოკიოს რინგის ოქრო

**ოლეგ გრიგორიევი,**

ოლიმპიური ჩემპიონი კრივში მჩატე წონაში.

1. მოკრივეთა ოლიმპიური ტურნირის ჩემპიონი დაამარცხებს ყველა თავის მეტოქეს. მე იძულებული ვარ შემოვიფარგლო ასეთი ბანალური პასუხით, ვინაიდან კრივში არ არის სპორტსმენთა ოსტატობის ობიექტური მაჩვენებლები — მეტრები, წამები, კილოგრამები.

2. გასული წლის ოქტომბერს მე დავმარცხდი პოლონელ ბრუნო ბენდიგთან მეგობრულ არმიათა ჩემპიონატის ფინალურ ბრძოლაში. მართალია, ორი თვის მერე რევანშის აღება შევძელი, მაგრამ მაინც ბენდიგი, თუ კი ის ტოკიოში ჩამოვა, ჩემთვის ყველაზე უფრო ძნელი მოწინააღმდეგე იქნება.

მჩატე წონაში ოქროს მედალზე პრეტენზიებს აცხადებენ აგრეთვე ამერიკელი ჯონსონი, იუგოსლაველი პეტრიჩი. საერთოდ, ტოკიოს რინგზე სუსტები არ იქნებიან.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილისათვის იბრძოლებენ პოლონეთის, აშშ-ის, იტალიისა და საბჭოთა კავშირის მოკრივეები.

3. მიყვარს ჩემი მომავალი პროფესია — მალე მე მომიხდება დიპლომის დაცვა მანქანათმშენებელ ტექნიკუმში. დიდი სიბეჯითით ვაგროვებ ფირფიტებს, რომლებზეც ჩაწერილია მსუბუქი და კლასიკური მუსიკა.



მართალია ოლიმპიადის დაწყებამდე ჯერ კიდევ კარგა ხანია დარჩენილი, მაგრამ გახსნის საზეიმო ცერემონიალი მინიატურულ მასშტაბებში უკვე რამდენიმეჯერ მოეწყო.

საორგანიზაციო კომიტეტი კმაყოფილია რეპეტიციის წინასწარი შედეგებით. მისი აზრით ყველაფერი ნორმალურად მიდის. სურათზე თქვენ ხედავთ ფანფარისტთა ერთ ჯგუფს. მათ მეტად საპატიო ამოცანა აკისრიათ. საყვირების ხმამ სამყაროს უნდა ამცნოს ორი დიდი მოვლენა — ღვთაებრივი ცეცხლის მოახლოვება და ოლიმპიადის გახსნა.

# „სისხლიანი იანის" ხრიკები

აგვისტოს ერთ თაკარა დღეს იოჰანესბურგის რკინიგზის სადგურში ჩვეულებისამებრ ხმაური და ფაცი-ფუცი სუფევდა. ჩემოდნებით დატვირთულ მგზავრებს მატარებლებისკენ ეშურებოდათ. და უცებ, ყველა ერთ ადგილზე გაქვავდა. ხმაური და ჟივილ-ხივილი აფეთქების საშინელმა ხმამ დაფარა. მეხანძრეები მაშინღა მოვიდნენ, როცა ვოგზლისპირა მოედანზე მდგარი ერთ-ერთი სამხრეთაფრიკული პროგრესული ორგანიზაციის შენობა იფერფლებოდა.

აფეთქებიდან სულ რაღაც რამდენიმე საათის შემდეგ ქალაქის მეორე ბოლოში დააპატიმრეს 5 ზანგი, რომელთაც წაუყენეს ბრალდება „დივერსიის ჩადენაში". დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა აფრიკის არარასობრივი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯონ ჰარისი. როგორც კი ეს ამბავი აფრიკელებმა შეიტყეს, მათ შორის მრავლისმეტყველი ფრაზა დაიძრა:

— ისევ „სისხლიანი იანი"!..

... ფეშენებელური ვილა იოჰანესბურგის არისტოკრატულ კვარტალში. შესანიშნავი ბაღი ნაირფერი ყვავილებით და მცენარეებითაა დაფარული. ქვიშით მოკირწყლული სავალი ბილიკები... მოკლედ რომ ვთქვათ, მშვიდი და თვალწარმტაცი პეიზაჟია. მაგრამ ქალაქის ფერადკანიანი მოსახლეობა ცდილობს რაც შეიძლება შორიდან მოუაროს ამ მშვენიერებას. აქ ცხოვრობს „სისხლიანი იანი" — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი იან დე კლერკი. მის სინდისზეა სამხრეთაფრიკელ პატრიოტთა წამება, მის სინდისზეა მხეცური რასისტული კანონების შემოღება, საკონცენტრაციო ბანაკები ზანგებისათვის და ა. შ.

მაგრამ რა კავშირი აქვს „სისხლიან იანს" სპორტთან? საქმე ისაა, რომ სპორტი „შინაგან საქმეთა" ორბიტაში შედის და არც ერთი საკითხი, რომელიც ამ სფეროს ეხება, არ შეიძლება გადაწყდეს იან დე კლერკის გარეშე — იმ კაცის გარეშე, ვინც ქვეყანაში რასისტული პოლიტიკის თავგამოდებული მქადაგებელი და გამტარებელია.

თავის დაუძინებელ მტრად „სისხლიანი იანი" აფრიკელთა ეროვნულ სპორტულ მოძრაობას თვლის. 1962 წელს ზანგმა სპორტსმენებმა რასობრივი დისკრიმინაციისადმი პროტესტის ნიშნად შექმნეს თავიანთი არარასობრივი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. 1963 წლის მაისში იანის ქეშიკებმა მიაკვლიეს და დააპატიმრეს ამ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი დენის ბრუტუსი. დაპატიმრების მიზეზად წარმოადგინეს ყოვლად სასაცილო და კანონით „გამართლებული" მოტივი: ბრუტუსი ესაუბრებოდა შვეიცარელ ჟურნალისტს, ხოლო როგორც ცნობილია, ფერვურდის ქვეყანაში ზანგებს ლაპარაკის უფლება აქვთ მხოლოდ შავკანიან ადამიანებთან.

მეგობრებმა საწინდრის შესატანად 200 გირვანქა სტერლინგი შეაგროვეს და ბრუტუსი საპატიმროდან გამოაშვებინეს. პროცესი არ გაუუქმებიათ. იგი, უბრალოდ, გადადეს. მოსალოდნელი იყო, რომ ბრუტუსს ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ და ამის გამო ის სვაზილენდში გაიქცა. იქიდან მან ყველას მოუწოდა, რათა მხარი დაეჭირათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან რასისტების განდევნისათვის. ბრუტუსმა გადაწყვიტა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესზე ბადენ-ბადენში გამგზავრება, მაგრამ „სისხლიანი იანის" აგენტებმა იგი გზად, პორტუგალიის კოლონია მოზამბიკში შეიპყრეს. მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ დატოვა ბრუტუსი ცოცხალთა შორის: მას რამდენჯერმე ესროლეს „გაქცევის ცდისას" და საბოლოოდ, მხოლოდ მუცელში მძიმედ დაჭრილი მიიყვანეს საპატიმროში.

სამი თვის მანძილზე ბრუტუსს ყოველდღიურად იწვევდნენ დაკითხვაზე და არაადამიანურად აწამებდნენ. დაკითხვებს ესწრებოდა თვით იან დე კლერკი. „სისხლიანი იანი" ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ ბრუტუსს საჯაროდ ეცნო აპარტეიდი და მოეხდინა აფრიკული ოლიმპიური კომიტეტის ლიკვიდაცია. ამისათვის იგი პატიმარს თავისუფლებას და ფულს პირდებოდა. ბრუტუსმა პატიმრობა არჩია და მას წლინახევრის ციხე მიუსაჯეს.

აფრიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახდა ჯონ ჰარისი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომებზე ბადენ-ბადენში ჰარისმა სასტიკად გაილაშქრა რასისტების წინააღმდეგ. როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა, მაშინვე ციხეში მოხვდა. მაგრამ „სისხლიანი იანის" გამოცდილმა პროვოკატორებმაც კი ვერ მიუყენეს მას კანონის ისეთი მუხლი, რომლის საფუძველზე ჰარის საპატიმროში გამოკეტავდნენ და იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებიათ. თუმცა უფრო ზუსტი მიზეზი სხვა რამ იყო: ამ დროს ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის მონაწილეობის საკითხი წყდებოდა, თორემ რასისტებს განაჩენის გამოსატანად საბაბი არ დაელეოდათ. ისინი ცდილობდნენ როგორმე გამძვრალიყვნენ ოლიმპიადაზე...

აგვისტოს პირველ რიცხვებში არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის, განისა და ეთიოპიის წარმომადგენლებმა მტკიცედ მოითხოვეს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას აუკრძალოს ოლიმპიადაში მონაწილეობა. ამგვარად, ახლა უკვე სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა მათ მიერ ელემენტარული, „ზრდილობის" დაცვა...

„სისხლიანი იანის" ვილასთან ერთი-მეორის მიყოლებით მოდიოდნენ მსუბუქი მანქანები. იანის კაბინეტში შეიკრიბნენ რასისტები — ე. წ. „თეთრი ოლიმპიური" კომიტეტის მოღვაწენი. იხილებოდა ორი საკითხი: როგორ მოატყუონ მსოფლიო საზოგადოებრიობა და როგორ იძიონ შური ზანგებზე. და აი, 11 აგვისტოს, თათბირის შემდეგ, „თეთრების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის" პრეზიდენტმა მისტერ ფრანკ ბრაუნმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს აცნობა: „ჩვენ ვერ მივიღებთ იმ პირობებს, რომელსაც ჩვენს წინაშე აყენებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. რასობრივი ურთიერთობა სპორტში საკმაოდ ძველი ტრადიციაა".

როგორც კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კანცლერმა ოტო მაიერმა ფრანკ ბრაუნის განცხადება მიიღო, იგი მაშინვე შეეცადა გამოეძებნა გამოსავალი. მან დაიწყო ჟურნალისტების დარწმუნება, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოღვაწენი „განაწყენდნენ" და „აჩქარებით მოიქცნენ". მაიერმა განაცხადა, რომ 16 აგვისტომდე სამხრეთ აფრიკელებს კიდევ შეუძლიათ აღიარონ თავიანთი შეცდომები. სანამ კანცლერი ლოზანაში ლაპარაკით ერთობოდა, იოჰანესბურგში დაპატიმრებები დაიწყო. ჰარისთან ერთად ზემოაღნიშნული ბრალდებით დააპატიმრეს სხვა ზანგი სპორტული მოღვაწენიც. თუმცა, ყველასთვის ნათელია, რომ ვოგზალზე მოწყობილ აფეთქებაში დამნაშავეთა ძებნა რასისტებს შორის იყო საჭირო.

იანი და მისი თანამზრახველნი დაპატიმრებებით როდი დაკმაყოფილდნენ. მათ გადაწყვიტეს რასიზმი გაემაგრებინათ ახალი მძიმე კანონით. გაზეთმა „დრაგბრიკმა", რომლის ერთ-ერთი დირექტორია თვით ფერვურდი, გამოაქვეყნა ამ კანონის პროექტი. კანონში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „ქრისტიანულ რწმენას, ცხოვრების ტრადიციულ წესს, კანონსა და წესრიგს სამხრეთ აფრიკაში ემუქრება უცხო გავლენა". და ამის გამო, ყველა სპორტული და კულტურული ღონისძიებანი, საზოგადოებრივი თუ კერძო, თურმე უნდა ტარდებოდეს თეთრებისთვის ცალკე და ზანგებისთვის ცალკე.

სპორტში რასობრივი დისკრიმინაციის ისეთი თავგამოდებული მომხრეც კი, როგორიცაა თეთრების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი რეჯინალდ ჰონეი, იძულებული გახდა განეცხადებინა: „ამ კანონის მიღება სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს ჩვენს საერთაშორისო სპორტულ ურთიერთობებს". ჰონეი მართალი აღმოჩნდა. 18 აგვისტოს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო საბოლოო დადგენილება იმის შესახებ, რომ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე არ დაუშვან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

რასისტებს სურთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტში რასიზმი უკვდავყონ. აი, სწორედ ამიტომ იწვევს გაცოფებას მათში აფრიკელთა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სწორედ ამიტომ ესვრის ტყვიას დაქირავებული მკვლელი დენის ბრუტუსს, სწორედ ამიტომ აწამებენ ჯონ ჰარისს.

„სისხლიანი იანი" ინტრიგანობს. მაგრამ ვერც ინტრიგა, ვერც დაღვრილი სისხლი ვერ შეაჩერებს რასიზმის წინააღმდეგ თავგამოდებულ მებრძოლებს.

ა. გურკოვი,
ახალი ამბების სააგენტოს სპორტული კომენტატორი.

# „იმედის თასზე"

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი ფეხბურთში „იმედის თასზე". ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები კოლექტივები.

საქართველოს გუნდს პირველი მატჩი უკვე მოგებული ჰქონდა მოწინააღმდეგის მინდორზე ანგარიშით 3:2 და მეორე შეხვედრა, თითქოს არ უნდა ყოფილიყო საპრობლემო. ეს ასეც მოხდა: გამარჯვება მოპოვებულ იქნა დიდი ანგარიშით — 4:0, მაგრამ მისი მიღწევა არც ისე იოლი აღმოჩნდა.

სტუმრებმა გაძლიერებულ დაცვას მიმართეს პირველივე წუთებიდან. მთელი ტაიმის განმავლობაში თამაში მათი [illegible] ნახევრის ფარგლებში მიმდინარეობდა, მაგრამ მასპინძელთა თავდასხმა ზედმეტად ატარებდა ბურთს, თამაშობდა შეჯგუფულად და სარგებელი ამ დიდი ტერიტორიული უპირატესობიდან არ ჩანდა. მხოლოდ 37-ე წუთზე მიაღწია გვენცაძის დარტყმამ მიზანს — 1:0.

ასევე მიმდინარეობდა მეორე ტაიმი. საქართველოს ფეხბურთელები კვლავ სრული უპირატესობით თამაშობდნენ და ანგარიში კი უცვლელი რჩებოდა. გარდატეხა მოხდა მას შემდეგ, რაც მუშკუდიანმა კარგად გამოიყენა გოგიას გადაცემა და თავით გაგზავნა ბურთი მოპირდაპირე კარში — 2:0. დარჩენილ მცირე დროში წოწორიამ კიდევ ორი გოლი გაიტანა და საქართველოს გუნდმა გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 4:0.

მორიგი შეხვედრა ჩვენს ფეხბურთელებს ექნებათ 9 სექტემბერს საკუთარ მინდორზე სომხეთის ნაკრებთან.

ჯ. ვაჩიბერიძე

## სსრ კავშირის თასზე

გუშინ გაიმართა ორი მეოთხედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. მოსკოვში შედგა გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ადგილობრივ გუნდებს „დინამოსა" და ცსკა-ს შორის. თამაში დამთავრდა „დინამოს" გამარჯვებით — 2:0.

იაროსლავლში ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო" და ადგილობრივი „შინიკი". მატჩის შედეგია 3:1 კიეველთა სასარგებლოდ.

## „ბ" კლასი

### რსფსრ-ს IV ზონა
### გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 30 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ბათუმი) | 25 | 12 | 10 | 3 | 27—10 | 34 |
| „თერგი" (გროზნო) | 25 | 11 | 12 | 2 | 29—12 | 34 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 25 | 12 | 6 | 7 | 36—22 | 30 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 25 | 10 | 9 | 6 | 23—18 | 29 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 24 | 10 | 9 | 5 | 30—26 | 29 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 25 | 10 | 9 | 6 | 25—26 | 29 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 25 | 11 | 6 | 8 | 42—27 | 28 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 25 | 10 | 8 | 7 | 33—33 | 28 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 25 | 8 | 8 | 9 | 30—28 | 24 |
| „დინამო" (სოხუმი) | 25 | 7 | 8 | 10 | 30—34 | 22 |
| „შრ. რეზერვები" (კავმინვოდი) | 25 | 5 | 12 | 8 | 15—22 | 22 |
| „კოლხიდა" (ფოთი) | 24 | 6 | 9 | 9 | 25—28 | 21 |
| „დინამო" (ბაქო) | 25 | 8 | 5 | 12 | 29—32 | 21 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 25 | 5 | 11 | 9 | 24—33 | 21 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 25 | 7 | 7 | 11 | 16—27 | 21 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 25 | 7 | 5 | 13 | 30—51 | 19 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 25 | 3 | 12 | 10 | 19—25 | 18 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 25 | 4 | 10 | 11 | 16—26 | 18 |

▲ პარიზი. საფრანგეთის პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში პროფესიონალთა შორის მოიგო ჟან სტაბლინსკიმ. ანკეტილთან, დარიგადთან, პულიდორთან და გრუსართან ერთად იგი მონაწილეობას მიიღებს პროფესიონალთა მსოფლიო პირველობაში, რომელიც გაიმართება 6 სექტემბერს საფრანგეთში.

▲ რომი. მესინაში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. პირველი ადგილი მოიპოვა იუგოსლავიის „ჟელეზნიჩარმა". მეორე ადგილი წილად ხვდა ბრნოს „სპარტაკს", ხოლო მესამე — პოლონეთის მეორე ნაკრებს.

▲ იენა. ავტომობილისტთა საერთაშორისო შეჯიბრება ავსტრიის დიდ თასზე მოიგო იტალიელმა ლ. პანდინიმ. მან 336-კილომეტრიან დისტანციაზე საათში საშუალოდ 160 კილომეტრი განავითარა.

▲ სარდინია. ინგლისის პრინცესა მარგარეტი საწყლოსნო-სამოტორო სპორტის დიდი მოყვარულია. ამას წინათ მან მონაწილეობა მიიღო დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში და პირველი ადგილი დაიკავა.

▲ სან-პაულო. სამხრეთ ამერიკის ახალი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში დაამყარა ბრაზილიელმა მარია ციპრიანომ — 171 სმ. ვაჟთათვის კონტინენტის ახალი მიღწევის მფლობელი გახდა ბირთვის კვრაში ჟ. კ. ჯაკომესი — 17 მ 00 სმ.

▲ ტოკიო. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს 96 ქვეყანა. ახლა ოლიმპიადის მონაწილეებს შეუერთდა კოლუმბია და ალჟირი.

▲ ჰალმსტადი. ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში შვეციის ახალი რეკორდი დაამყარა სპორტსმენმა ქალმა მონიკა იზრაელსონმა — 1.23,0.

▲ კარმარტენი (უელსი). სიგრძეზე ხტომაში სტაბილურ შედეგებს აჩვენებს ველსელი სპორტსმენი ლინ დევისი. ახლახან მან აჩვენა 8 მ 04 და 2 სმ-ით გააუმჯობესა დიდი ბრიტანეთის რეკორდი.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

## საფეხბურთო ნაკვესები

● გულშემატკივარს ჰკითხეს: როგორი ფეხბურთი მოგწონსო და — როცა მოედანზე თამაშობენ და არა ჩემს ნერვებზეო.

● ფეხბურთელზე მიუთითეს: სტადიონზე „რვიანებს" რატომ ხაზავსო. რატომ და 8 ნომერი აქვს დალეულიო.

● ფეხბურთელი კოხტა ფორმაში იყო გამოწყობილი და მაინც ამბობდნენ: ფორმაში არ არისო.

● ფეხბურთელს როგორც იქნა ბურთი ხელში ჩაუვარდა და მსაჯმა დააჯარიმაო.

● მაყურებლებს ბილეთის აღება უჭირდათ და ფეხბურთელებს — კარისაო.

გ. შავერზაშვილი

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე) — პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.



ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08341